

კანა კუბატაძე

ეკონომიკის მაგისტრი, საგადასახადო სამსახურის ქუთაისის რეგიონული ცენტრის უფროსი ინსპექტორი

საგადასახადო კოდექსში ცვლილებები და დამატებები - პროგრესის ბარანტია

XXI საუკუნეში ეკონომიკისა და ფინანსური სისტემის ყველა ელემენტი უფრო და უფრო მგრძობიარე ხდება, რაც ასახავს პოვნებს სახელმწიფო ფინანსური რესურსების ცვლილების პროცესში. სწორი ფინანსური გეგმის შემუშავება უზრუნველყოფს საბიუჯეტო შემოსავლების ზრდას, შესაბამისად ქმნის შესაძლებლობას ბიზნესი გამოვიდეს წრდილოვანი სეგმენტიდან, რაც ბოლო პერიოდში სამეწარმეო საქმიანობის დამახასიათებელ ნიშანთვისებად იქცა.

აღნიშნულ პროცესს თავისი ობიექტური მიზეზი ჰქონდა. კერძოდ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის ძირეულმა შეცვლამ, გადასახადების რაოდენობის შემცირებამ, ურთიერთობის შედარებით გამარტივებულმა პროცედურებმა ასახვა პოვა ბოლო წლებში სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ზრდაში. გარდა ამისა, უფრო დაიხვეწა და გაიმჯნა თითოეული გადასახადი, რომელიც შესაბამისად რეაგირებადი და გასაგები გახდა გამომდებლად მხრიდან. აღნიშნულმა დოკუმენტმა დაგვანახა, რომ თითქმის ამოწურა ფინანსური რესურსის ზრდის შესაძლებლობა. ამასთან, ნათელი გახდა ის წინააღმდეგობრივი ნიუანსები, რომლებიც ბოლო სამი წლის მანძილზე განხორციელებულმა ცვლილებებმა გამოიწვია. მომწიფდა მომდევნო ცვლილებებისათვის მომზადების საჭიროება, რომელიც, ერთის მხრივ დაძლევეს ახალი საგადასახადო კოდექსის პრაქტიკული გამოყენებით გამოწვეულ წინააღმდეგობებს, ხოლო მეორეს მხრივ, შექმნის ახალ შესაძლებლობას გადასახადების შემდგომი ეტაპობრივი შემცირებისა და უფრო მეტად დახვეწილი საგადასახადო მექანიზმის შექმნისათვის. იგი უფრო გამჭვირვალეს და მგრძობიარეს გახდის გადასახადების, საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის ურთიერთობას საგადასახადო ორგანოსთან. აღნიშნული ცვლილებების პაკეტი ჯერ კიდევ გასული წლის ზაფხულში მომზადდა, რაც ერთგვარ წინაპირობას წარმოადგენდა დამატებებისა და ცვლილებების განხორციელებისთვის. ამით საზოგადოება და ეკონომიკური სექტორი მომზადებული და შესაბამისად

სად ადაპტირებული შეხვედროდა საგადასახადო კანონმდებლობაში განსახორციელებელ ინოვაციებს.

საქართველოს საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებები და დამატებები თითქმის ყველა რგოლსა და ურთიერთობის სფეროს (მოიცავს გადასახადებსა და საგადასახადო სისტემას შორის ურთიერთობა იძულებით ღონისძიებებთან დაკავშირებით, სადავო საკითხთა განხილვები, კონკურენტული გადასახადების განაკვეთების შემცირების, დამსხვილების, და სხვა პრობლემებთან მიმართებაში. ცვლილებები შევიდა დეკლარაციებისა და გაანგარიშებების წარმოდგენის ინსტრუქციებშიც).

დღეისათვის უმთავრესი ამოცანაა აღნიშნული ცვლილებები დროულად იქნეს გაანალიზებული და გამოჯნული თითოეულ გადასახადში კონკრეტული ცვლილებების მიხედვით. ამით მინიმუმამდე იქნება დაყვანილი იმ გაუთვალისწინებელი შეცდომების დაშვების ალბათობა, რომელიც სრულყოფილად ვერ წარმოადგენს აღნიშნული ცვლილების დადებით შესაძლებლობას ორივე მხარისათვის (გადასახადი, საგადასახადო ორგანო).

განვიხილოთ ბოლოდროინდელი ზოგიერთი ცვლილება:

2008 წლის პირველი იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსიდან ამოღებულია სოციალური გადასახადი.

საერთოდ, გადასახადის რაოდენობრივი შემცირება მიუთითებს, რომ საგადასახადო სისტემა შედარებით მარტივი, მოქნილი და გასაგები ხდება ორივე მხარისათვის. დამჭირავებელი არ იხდის სოციალურ გადასახადს და ამით იგი თავისუფალია დარიცხული ხელფასის ფორმირებაში, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია იმ ოქროს შუალედთან (თანხრბრივად), რომელიც გადის მის ფინანსურ შესაძლებლობასა და შესრულებული სამუშაოს ღირებულებაზე. გამომხატულ ფულად (ან ნატურალურ) ფორმაში. ამასთან, საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი გახდა 25%. შესაბამისად,

ს ა ბ ა რ ა ს ს ა ბ ა რ ა ს ს ა ბ ა რ ა ს ს ა ბ ა რ ა ს ს ა ბ ა რ ა ს

დამქირავებელი თავისუფლდება რა სოციალური გადასახადისაგან, უფლება აქვს დარიცხული ხელფასიდან 25% დააკისროს დამქირავებელს, თუმცა აღნიშნულმა გარემოებამ შესაძლებელია დამქირავებულის ფინანსური შემოსავლის შემცირება გამოიწვიოს. იგივე დანახარჯებით, რომელიც შეიძლება გადასახადი დამქირავებლის მიერ (ცვლილების განხორციელებაში, საშუალებას იძლევა 2%-ით გაიზარდოს დამქირავებულის ფინანსური ფინანსური შემოსავალი. ამასთან, შედეგად მივიღოთ გამარტივებული და სრულიად გასაგები პროცედურა, რომელიც საშემოსავლო გადასახადის დაკავებასა და დეკლარირებას უკავშირდება.

მაგალითი 1. კოდექსში ცვლილებამდე თუ დარიცხული ხელფასი შეადგენდა 100 ლარს, დამქირავებლის მიერ სოციალური გადასახადის გადახდის ვალდებულება შეადგენდა 20 ლარს, ხოლო დამქირავებელი ხელფასის სახით მიიღებდა 88 ლარს,  $12\%$  (შესაბამისად 12 ლარი) კავდებოდა და ირიცხებოდა ბიუჯეტში სახაზინო კოდის მიხედვით. დამქირავებელი საკუთარი დანახარჯის იგივე რაოდენობით გამოყენების შემთხვევაში თუკი დარიცხული ხელფასი იქნება 120 ლარი, დამქირავებულს მისცემს შესაბამისად  $120 - (120 \cdot 25\%) = 90$  ლარს.

მაგალითი 2. ინდივიდუალურ საწარმოს წლიური დეკლარაციის მიხედვით დასაბეგრი შემოსავალი აქვს 1000 ლარის ოდენობით. შესაბამისად, მას მოუხდება 200 ლარის გადახდა სოციალურ გადასახადში, ხოლო  $(1000 - 200) \cdot 12\% = 96$  ლარის გადახდა საშემოსავლო გადასახადში. მაშასადამე, ცვლილებამდე წმინდა შემოსავალი შეადგენს  $1000 - 200 - 96 = 704$  ლარს. ცვლილების შემდეგ წმინდა შემოსავალი, რომელსაც დებულობს ინდივიდუალური მეწარმე იზრდება და შეადგენს  $1000 - (1000 \cdot 25\%) = 750$  ლარს.

ამასთან, 2008 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 1 იანვრამდე საგადასახადო პერიოდების მიხედვით ფიზიკური პირის ქვემოთ ჩამოთვლილ დასაბეგრ შემოსავლებზე საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი შეადგენს 12%-ს.

ა) გრანტით მიღებული სახსრებიდან გრანტის მიმღები ორგანიზაციის მიერ გაცემული ანაზღაურება.

ბ) საქართველოში არსებული, დიპლომატიური სტატუსის მქონე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ საქართველოს მოქალაქეებზე გაცემული ანაზღაურება.

გ) საერთაშორისო ხელშეკრულებით სოციალური გადასახადისაგან განთავისუფლებული ანაზღაურება.

დ) სასამართლო გადაწყვეტილებით სასჯელადსრულების დაწესებულებებში მოთავსებულ მოთავსებული პირებისათვის გადახდილი თანხები.

ე) სხვა ანაზღაურება, რომელიც 2007 წლის 31 დეკემბრისათვის საქართველოს კანონმდებლობით არ იბეგრებოდა სოციალური გადასახადით.

ვ) 2008 წლის 1 იანვრამდე დარიცხულ და გაუცემელ ხელფასებზე მოქმედებს საშემოსავლო გადასახადის 12%-იანი განაკვეთი.

3. მოგების გადასახადი 2008 წლის 1 იანვრიდან გახდა 15%, რომელიც მოქმედებს შესაბამისად შემდგომ საგადასახადო პერიოდებზე. აღნიშნული გადასახადის მიმდინარე გადასახდელები გადაიხდება 2007 წლის დასაბეგრი მოგებიდან 15%-იანი განაკვეთი.

ცვლილებებმა განაკვეთების ცვლილებების შემცირების გამო დასაბეგრი ბაზის ზრდა უნდა გამოიწვიოს, რაც საბიუჯეტო შემოსავლების გარდაუვალი ზრდის გარანტიას. კიდევ ერთი სიახლე, რომელიც 2008 წლის 1 იანვრიდან იხერგება – საგადასახადო სესხი.

საგადასახადო სესხი – სახელმწიფოს მიერ გაწეული შალავათია იმ საგადასახადო ვალდებულებების ფარგლებში, რა თანხასაც მოიცავს აღნიშნული სესხი. საგადასახადო სესხი შეიძლება მიიღოს ნებისმიერმა იურიდიულმა ან მეწარმე ფიზიკურმა პირმა, რომელმაც რეგისტრაცია გაიარა 2008 წლის 1 იანვრიდან. საგადასახადო სესხის მაქსიმალური თანხაა 2000 ლარი, რომლის ვადაა 123 თვე, წლიური 4%-იანი განაკვეთით. სესხის დაბრუნება ხორციელდება 10 წლის შემდეგ ბოლო სამი თვის განმავლობაში თანაბარ ნაწილებად.

საგადასახადო სესხი, განაკვეთების შემცირება, ინსტრუქციების დახვეწა, დეკლარაციებისა და გაანგარიშებების გამარტივება ის ხელშემწყობი ფაქტორებია, რომლებმაც არც თუ ისე გრძელვადიან პერიოდში ეკონომიკურ ზრდას უნდა შეუწყოს ხელი, რაც პოზიტიურად აისახება სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლით ნაწილში. საბოლოო შედეგი ადეკვატურად უნდა აისახოს თითოეული მოქალაქის კეთილდღეობის და მატერიალური შესაძლებლობების გაუმჯობესებაში.